საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 13 მ ა რ ტ ი 28 1899 წ. № 13

შინაარსი: ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები გ. წერეთლისა.—პატარა წერილი ნ. ყორდანიასი.—სხვა და-სხვა ამბები —„კვალის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—რედაქციისაგან ან. წერეთლისა.—ქუთაისი 1898 წ. (გაგრძელება) ი. კაკაბაძისა.—ჰირიმზე, რომანი (შემდეგი) გ. წერეთლისა.—შენიშვნა ხომლელისა.—უხერხული დუმილი ი. კაკაბაძისა.—წერილი რედაქციის მიმართ გ. შარაშიძისა.—იგავ-არაკნი და დახასიათება. და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები. *)

III.

ამარცხებული ფეოდალიზმი და მისი მომხრე ოპოზიცია დიდი ამბით ემზადებოდა 1893 წლის ბანკის კრებაზე „ბრბოს“ და „ქუჩის“ წინააღმდეგ, როგორც ისინი უწოდებდენ ახალ აღორძინებულ მრეწველ-მოქალაქეთა წოდებას. მაისის დამდეგს ქუთაისი გაივსო ხმალ-ხანჯლებით გამოკანკლული თავად-აზნაურობით. თუ ოპოზიციის მხარეზე მეტობდა დიდი გვარიშვილებ-ს წარმომადგენელები, მაგრამ მრეწველ-მოქალაქეთ ემხრობოდა მომეტებული ნაწილი წერილი ადგილ-მამულის მეპატრონე აზნაურობა, რომელიც დადგომოდა ახალ სამრეწველო განვითარების გზას და რომლის ახალგაზდობას დიდ თავადიშვილებზე არანაკლებ მოწონდა თავი თავისი ხმალ-ხანჯლებით. ქუთაისის ბულვარი თან-და-თან უფრო მეტ ელვარებაში მოდიოდა ოპოზიციის სტატიების კითხვით. გარდა იმისა, რომ ამ ლანძღვის კილოთი დაწერილ სტატიებს უკითხავდენ მრეწველ-ვაჭართა კლასს, ზეპირდაცინებაც ბევრი იყო მათზე მოწინააღმდეგე ბანკიდან. ოპოზიციის ყოველ ინტელიგენტს ცხვირი მაღლა ჰქონდა აწეული: „ბრბოს“, როგორც ის ეძახდა ვაჭარ-მრეწველთა კლასს, თავს როგორ დაეუკრავ, ხელს როგორ ჩამოვართმევ, გვერდით როგორ დავისვამო. საკმაოა ერთი ახალი მაგალითი მოვიყვანო მაშინდელი ოპოზიციის ინტელიგენციის დასახასიათებლათ. როდესაც ამას წინეთ ერთ პატივცემულ პირს სადილს უკეთებდენ, ქუთაისში დაიწყეს მზადება, გამართეს ხელის მოწერა. ქუთაისის საპატიო მოქალაქეები სიამოვნებით აწერდენ ხელს პატიჟობის სიაზე, უნდოდათ თავისი ცოლებიანათ მიეღოთ მონაწილეობა. უცბათ ზოგიერთმა ოპოზიციის ინტელიგენტმა ცხვირი აიბზუა: როგორ თუ მე ჩემს ცოლს ამა-და-ამ მოქალაქის ცოლთან ერთათ დავესვამო? ერთმა პატივცემულმა და ყველასგან ცნობილმა ოპოზიციის ინტელიგენტმა თ. პ. წ. ხმამაღლა ბაასი ატეხა ქუთა-

*) იხ. „კვალი“ № 12

ისის ბულვარში ყველას გასაგონათ: „მე ჩემ მეუღლეს გვერდით ვერ მოვუსვამ ს. ჭ—ლის, ან პ. კ—ას და გ. კ—ს ცოლებსო. თუ ისინი მოხვდენ პატიჟობის სიაში, მე იმ სადილზე არ დავესწრებიო“. იფიქრე, მკითხველო, როგორ მიიღებდენ ასეთ დროს შეუფერებელ ფეოდალურ ამაყობას საპატიო მოქალაქენი, ან მთელი ახალ აღორძინებულთა ვაჭარ-მრეწველთა კლასის წარმომადგენელნი?—ეგ არის მაგათი განათლება, ეგ არის მაგათი კაცობრიული უფლებების პატივისცემაო—ამბობდენ ვაჭარ-მრეწველნი. ჩვენ მაგათ მართლა პირუტყვები ვგონივართ, მაშ ვაჩვენებთ ამორჩევაში, ვინც ვყოფილვართო.

1893 წლის ბანკის კრებებზე ნამდვილ ოპოზიციის მეთაურათ შეიქნა თ. ს წერეთელი, ლუბერნიის მარშალი. ის მართლაც ასლი შემაერთებელი და შემაკავშირებელი ხიდი გამოჩნდა, ოპოზიციის ინტელიგენტთა ⁄ ფეოდალებს შორის, როგორც უმაღლესი განათლების მექონი და დიდი შთამოიმავლობის კაცი. მაშინ ბანკის კამიტეტში ის იყო თავმჯდომარეთ და ჰსურდა ყოველი ღონისძიება ეხმარა, რომ ოპოზიციას და ფეოდალთა წოდებას დაემარცხებინა გამგეობის პარტია. ამ სახით ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კამიტეტსა და გამგეობას შორის ატყდა დაუფარავი წინააღმდეგობა. საქმე მიდგა ამომრჩეველების სიების შესწორებაზე. ბანკის წესდების ძალით ამომრჩეველთა სიების შედგენა და განხილვა ბანკის გამგეობას ეკუთვნის; ხოლო თუ რაიმე უწესოება აღმოჩნდებოდა სიებში, მაშინ ზედამხედველ კამიტეტს ჰქონდა მხოლოთ ნება, როგორც საკონტროლო დასეწებულებას, მიეღო მონაწილეობა და კანტროლი მოეხდინა. ამის მაგიერათ ზედამხედველმა კამიტეტმა თვითონ ისურვა სიების გაჩხრეკა და შედგენა. ბანკის მმართველმა, კ. ჩიკვაიძემ, ეს უკანონობათ ჩათვალა ზედამხედველი კამიტეტის მხრივ და სიები არ დაანება მას. მოხდა ამაზე კრებაში პირველი ხელჩართული შეტაკება მოწინააღმდეგე პარტიებისა. ორივ პარტიის წარმომადგენლებმა იძვრეს ხანჯლები, სცენაზე შეიქმნა ჩოჩქოლი და ცოტა ხანს იქით თ. სე. წერეთელი გამოიყვანეს კრებიდან აღელვებული. იმას გარშემოერტყენ ოპოზიციის ინტელიგენტები, რამდენიმე თავადიშვილობა და ჩინოვნიკობაც. ესენი ყველანი ერთათ წავიდენ ლუბერნატორთან ასეთი უწესოების მოსახსენებლათ. მეორე დღეს კრების დარბაზს ყაზახები შემოადგენ და პოლიციამ გამოუცხადა იქ შეკრებილ მაზრის თავად-აზნაურობას, რომ საბანკო კრება დაიხურაო, ბანკის კრებები კი ახალ-მთავრობის განკარგულებამდე აღარ შედგებაო. ამას შემდეგ ოპოზიციის ინტელიგენცია თ. ს. წერეთლის თაოსნობით შეუდგა იმის მეცადინეობას, რომ საზოგადო ამორჩევითი უფლება ბანკში მოსპილიყო და წარმომადგენლობითი უფლება შემოღებულ იყო იმ განზრახვით, როგორც ის ამტკიცებდა, რომ ბანკი გაეთავისუფლებინათ „ბრბოს“ შემოსევისაგან.

ჩვენ წავიკითხეთ ერთი შავათ დაწერილი პირი ზედამხედველ კომიტეტის წევრთა აზრისა, რომელშიაც საბუთათ ამორჩევითი უფლების შეევიწროებისას ხმარობდენ შემდეგ სიტყვებს: ქუთაისის თავად-აზნაურობა, ბანკის დამფუძნებელნი და მსესხებელნი იმდენათ განუვითარებელნი არიან და ბანკის საქმეების უმეცარნიო, რომ ორიათას წევრში ორმოცს თუ იპოვნის კაცი, რომ ბანკ ს წესდების მუხლები ესმოდეს და ბანკის საქმეების რამე გაეგებოდესო. ამბობენ, ამისთანა აზრის შინაარსის დაწერაში ქუთაისის ოპოზიციის ინტელიგენციამ დიდი მონაწილეობა მიიღოკო. ამას შემდეგ განა შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამისთანა ინტელლიგენცია მტკიცე გავლენას მოიპოებდა მოძეტებულ ნაწილ იმერეთის საზოგადოებაზე? იმის მაგიერათ, რომ მას ეზრუნა ქუთაისის ბანკის განკარგებაზე, შეედგინა პროექტი კონვერსიისა, რომ სესხის პროცენტი შეემცირებინათ, ეშუამდგომლათ მთავრობის წინაშე, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მოქმედება გაევრცელებინათ სხვა-და-სხვა ერცელ რაიონებზე, ის მოყვა გაუთავებელ ლანძღვა-გინებას კ. ჩიკვაიძისას და მარტო მისი მტრობით დაბრმავებული აღარაფითარ გარემოებას და ხალხის ახალი ძარღვის ფეთქვის შესწავლას არ დაუკვირდა. ამისთვის ოპოზიცია დარჩა უნიადაგოთ გარიყული, როგორც ეს ცხადათ დაგვანახვა წრეევანდელმა ამორჩევებმა.

„მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“—ნათქვამია. რასაკვირველია, მეც ამ მართლისთვის უკვე საკმაო ლანძღვით მაჯილდოებს ჩვენი ყოყოჩა უნიადაგო ქუთაისის ოპოზიციის ინტელიგენცია, მაგრამ ჩემდა სანუგეშოთ მოვიყვან დავით გურამიშვილის სიტყვებს:

„მართალია მძრახველს ძრახვა
თვით კი ავათ მოუხდების;
მაგრამ ფარვა სიავისა
ქვეყანას არ მოუხდების...“.

ახლანდელ ქუთათურ პარტიულ გამწვავებაში ინტელიგენტთა ჯგუფები ისე არიან ვნებითი პიროვნული ბრძოლით დაბრმავებულნი, რომ ვერ წარმოუდგენიათ, თუ იმათი ბანკის სადაო საქმეების გარეშე იყოს რამე მათ ქვეყანაში საყურადღებო. ამისთვის თუ ერთ რომელსამე ინტელიგენტთა ჯგუფს, ამ მოქმედების წესი დაუწუნე, ან პროგრამის უქონლობა დაუმტკიცე, მაშინვე მამალსავით აიყოჩება

და წამოგძახებს: თქვენ ალბათ „კალისტრატისტი“ უნდა იყოთ, თუ ოპოზიციას კრიტიკას უკეთებთ, ან ოპოზიციონისტი, თუ „კალისტრატისტებს“ კიცხავთ. საკვირველია, საიდან მიცემია ჩვენ მყვირალა ქუთათურ ინტელიგენციას ასეთი დიდი წარმოდგენა თავის თავზე? თითქოს დასავლეთ საქართველოში მათ გარეშე არც არავინ იყოს და არც არავის უფლება ჰქონდეს თავისი აზრი იქონიოს ჩვენი ქვეყნის ვითარებაზე. ჩვენ ერთხელ კიდევ საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ჩვენ არც ერთ ქუთაისის „ბანკობანის“ ჯგუფს ინტელიგენციისას არ ვეკუთნით და თუ იქაურ ოპოზიციის მოქმედებას კრიტიკის დარჯაკში ვატარებთ, ამის მიზეზი მხოლოთ ის არის, რომ იმათ დავანახვოთ თავისი შეცდომა და შეძლებისამებრ გამოვარკვიოთ ის ევოლიუციური მოძრაობა, რომელიც ახლა არსებობს დასავლეთის საქართველოში და რომლის შეუსწავლებლათ ვერაფერი მოწინავე დასი მაგრათ ფეხს ვერ მოიკიდებს იქაურ საზოგადოებაში მოქმედებისთვის.

გ. წერეთელი.

პატარა წერილი.

ამ ნომერში დასრულდა გ. წერეთლის წერილები ქუთაისის ბანკის შესახებ. როგორც მკითხველი დაინახავდა, ქუთაისის ბანკის გაუთავებელი ამბები არის მხოლოთ ერთი შედეგთაგანი იმერეთის საერთო განვითარებისა. რამდენათაც ეს მხარე წინ წავიდა ალებ-მიცემობით და მიმოსვლით, იმდენათ სოფლის ხალხი დაიძრა თავის ბუდიდან და აქეთ-იქით მიდგა-მოდგა. და, აი, მისი ერთი ნაწილი—წვრილი თავად-აზნაურობა და ვაჭართა კლასი—გამოვიდა რა სხვა-და-სხვა სარბიელზე, გამოვიდა აგრეთვე ბანკის სარბიელზედაც. მას წინ დახვდა ძველი გვარების წარმომადგენელნი, რომელთაც ბანკი თავის საკუთარ დაწესებულებათ მიაჩნდათ, და ატყდა შეჯახება. აი, ის ღრმა მიზეზი, ის ძირითადი მიმდინარეობა, რომელმაც წარმოშვა დღევანდელი ქუთაისის საბანკო პარტიები თავისი კალისტრატ-ოპოზიციით. აქ ამა თუ იმ პირის მოქმედებას მცირე ალაგი უპყრია. იმას შეუძლია იმოღვაწეოს, თავის თუ საზოგადოების სასარგებლოთ, იმ ნიადაგზე, რომელიც ამ ღრმა მიმდინარეობამ შექმნა. ხოლო ამ მიმდინარეობის გაბრუნდება, ან და ამ ნიადაგის შექმნა მას არ ძალუძს. ასეთია ამ საბანკო საქმეების ახსნა. მარა ახსნა რაიმე მოვლენის სრულებით არ ნიშნავს მის გამართლებას. თუ კი კ. ჩიკვაიძე ამ ახალ-აღორძინებულ ხალხს მიუდგა „ჯიბითაც“, ცხადია მას მომხრეები ქრთამის დახარჯვითაც კი მოუპოვებია. ამას ამოწმებს მთავრობის ანგარიშიც, რომელიც შარშან „კვალში“ დავბეჭდეთ (იხ. № 18). მოქრთამვა ღარიბი კაცის ყოველთვის უფრო ადვილია, ვინემ მდიდრის. და ეს ასე იყო ყოველგან, მთელ ევროპაში, როცა ამ ღარიბებსაც მიენიჭა სხვა-და-სხვა საარჩევნო უფლებები. მიუხედავათ ამისა, არც ერთი მოწინავე პარტია არ თხოულობდა, მათ საარჩევნო უფლება წაერთვასო. ისინი თხოულობდენ მხოლოთ იმას, რომ არჩევნების უფლება კიდევ უფრო გაფართოვებულიყო და მოქრთამეობა კანონით დასჯილიყო. და მართლაც, თითქმის ყოველგან შემოიღეს ასეთი კანონები. ამას ზედ დაერთო ხალხის კულტურულათ წინწაწევა და ქრთამის პოლიტიკაც ისტორიას ჩაბარდა. ქუთაისის ეგრეთ წოდებული ოპოზიცია სულ სხვა გზას დაადგა. მან პირდაპირ კენჭის უფლების შევიწროება მოითხოვა და გაიტანა კიდეც, ე. ი. მან რეაქციონური ზომები წამოაყენა და ის პროგრესიულ ზომებათ გამოიტანა. ამით მან დაჰკარგა ხალხის სიმპატია და თავისივე ხელით სამარე გაითხარა. ამნაირათ, კ. ჩიკვაიძის „ჯიბის“ პოლიტიკა და ოპოზიციის უგზო-უკვლობა—აი, ვინ იბრძვის დღეს ქუთაისის საბანკო ასპარეზზე. განა საჭიროა იმის თქმა, რომ ჩვენ არც ერთს ამათ არ ვემხრობით? ეს ყოველი ჩვენი მკითხველისთვის თავის თავათ ცხადი უნდა იყოს. კ. ჩიკვაიძის ჩვენ მოგვწონს ის, რომ ის ამ ახალ აღორძინებულ ხალხს მიემხრო; არ მოგვწონს მხოლოთ ის, რომ მან ის მოიმხრო არა უანგარო საქმიანობით და პირუთვნელი მოღვაწეობით, არამედ ხერხით და დაპირებით. ოპოზიციის (ახლანდელის) მოგვწონს ჩვენ ის, რომ მას არც ერთი ეს საძრახი საშუალება არ უხმარია; არ მოგვწონს მხოლოთ ის, რომ მან ხელი ჰკრა ახალ აღორძინებულ კლასს და დრო-გადასულ ფეოდალთა კლასს ჩაებღაუჭა. ის პარტია, რომელიც ამ ორივე პარტიის ნაკლულევანებას უარჰყოფს და მათ ღირსებას შეითვისებს—აი, ის იქნება ნამდვილი საბანკო მოწინავე პარტია და გამარჯვებასაც მას ვუსურვებთ.... [1])

ნ. ჟორდანია.

---

1) კარგი იქნება ქუთაისის მწერალთ, თუ რამე აქვთ ამის წინააღმდეგი, გამოთქვან, მარა, რასაკვირველია, არა à la კიტა აბაშიძე.

P. S. ეს წერილი უკვე დაბეჭდილი იყო, როცა ბ. მაიაშვილის ფელეტონი გამოვიდა „ახ. მიმ.“ ჩვენ შესახებ.

სხვა-და-სხვა ამბავი.

სამშაბათს, 30 ამ თვეს, სახაზინო თეატრში გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა დრამატ. ქართ. საზოგად. სასარგებლოთ.

—

თფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელათ დანიშნულ იქმნა მთავარ-მართებლის ადიუტანტი პოლკოვნიკი სვეჩინი.

—

25 მარტს მოხდა თფილისის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც უნდა აერჩია საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, მდივანი და რჩევის წევრები. კრებამ ისევე ძველები დატოვა თავის თანამდებობაზე.

—

,,ახ. მიმ.‘‘ სიტყვით თფილისის რკინის გზის სახელოსნოების უფროს სლესრებს, შრეიდერს და თელიას უმაღლესათ ებოძათ: პირველს შთამომავლობითი საპატიო მოქალაქის ხარისხი, ხოლო მეორეს პირადი საპატიო მოქალაქის ხარისხი იმის გამო, რომ მათ მონაწილეობა არ მიუღიათ მუშათა უკანასკნელ არეულობაში...

—

კავკასიაში ვენახს სულ უჭერია 108 ათასი დესეტინა მიწა, მარა ფილოქსერის მიზეზით ეს სივრცე თან-და-თან კლებულობსო.

—

ბაქოს ქართულ საღამოთა გამგე კომიტეტს უკვე გამოუგზავნია 2,000 მ. წ. კ. საზოგადოებისათვის.

—

კვირას, 28 მარტს, ქ. გორში მოხდება საზოგადო კრება გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობისა, რომლის საგანია: გასული წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, ამ წლის ხარჯების სავარაუდო აღრიცხვა და არჩევა გამგეობის ორი წევრის და ზედამხედველი კომიტეტის სამი წევრისა.

—

ერთი გაზეთის სიტყვით, ქვემო-მაჩხაანს ვერ უშოვია ისეთი მკურნალი, რომელიც 1200 მანეთზე დათანხმდეს! მაშ საღლა არიან ხალხისთვის თავდადებულნი ექიმნი, რომელთაც წინეთ ყურები გამოგვიჭედეს, სოფელში, სოფელში წავიდეთო.

—

ოზურგეთის თვით-მართველობა ძალიან ცდილობს ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანოს ამ ქალაქიდან შეკვეთილამდის. გზაც გამოუკვლევიათ და ამხანაგობაც აღმოჩენილა, რომელიც თანახმაა გააკეთოს ეს გზა და თავის მოგების 5% სწავლა-განათლების საჭიროებისათვის გადასდოს. მაგრამ ამ საქმეს სხვათა შორის სამნი ძმანი ქარ-ძენი აფერხებენ იმით, რომ გზა მათ მამულზე უნდა გაიდეს, ხოლო ისინი კი ძლიერ დიდ ფასს თხოულობენ მიწის დათმობისათვისო. (,,ახ. მიმ‘‘)

—

პეტერბურღის უნივერსიტეტი და სამთო ინსტიტუტი დახურეს და ყველა სტუდენტი გამორიცხეს იმისთვის, რომ ამათ ხელ მეორეთ მოახდინეს არეულობა. უკანვე მიიღებდენ მხოლოთ იმ სტუდენტს, რომელიც მიღების თხოვნას შეიტანდა არა უგვიანეს 25 მარტისა.

—

აზრათ აქვთ ქუთაისის გუბერნიიდან განაცალკევონ ბათომის და ართვინის ოლქი და ამათგან დამოუკიდებელი ოლქი შეადგინონ.

—

ბათომიდან გვწერენ: გასულ კვირას აქ მოხდა მეორე კრება წ. კ. საზოგ. აქაურ წევრთა რომელსაც ანგარიში წარუდგინა სარევიზიო კომისიამ შესახებ ქართული სკოლის კომიტეტის მოქმედებისა. სარევიზიო კომისიას კომიტეტის ყოველივე შესავალ-გასავალი შეუმოწმებია, ყველა ხარჯების გასამართლებელი საბუთები უნახავს და ყოველივე რიგზე ნაწარმოები აღმოუჩენია. საზოგადოებამ ამისათვის დიდი მადლობა გამოუცხადა კომიტეტს და ხელმეორეთ აირჩია თითქმის ერთხმათ. ხოლო კომიტეტის მეხუთე წევრათ სარევიზიო კომისიის წევრი დ. კლდიაშვილი იქმნა არჩეული.

—

ჩვენ მივიღეთ ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი წიგნაკი ,,ვაზის მოვლა და ღვინის დაყენება კავკასიაში‘‘, შედგენილი ს. ქვარიანის მიერ და გამოცემული ლიონში. ამ პატარა წიგნაკში აწერილია ჩვენებური მამა-პაპეული წესები ვენახის მოვლა-მოშენებისა და ღვინის დაყენებისა. შიგ თუმცა საზოგადო ცნობებია მოთავსებული, მარა ფრანგისათვის საყურადღებო და ღირს საცნობია. ისინი ოდნავ მაინც გაიცნობენ ჩვენებური მეურნეობის ერთ დარგს და ესეც კაი საქმეა.

,,კვალის‘‘ კორესპონდენციები.

სოფ. აქვიბჟა მდებარეობს მდ. კოდორის ნაპირზე. აქ არსებობს ხერხის ქარხანა, რომელიც ეკუთვნის მაქსიმოვს. ამ ქარხანის ცუდი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ დაშორებულია ქ. სოხუმზე 20-ვერ. მანძილზე

და ამიტომ აქაური მუშა მოკლებულია ყოველ-გვარ სანოვაგეს, თითქმის აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებელსაც კი. ამ სოფ. მკვიდრნი, აფხაზები, ალმაცერათ უცქერიან ყოველ-გვარ ცვლილებას, მათ ძველი პატრიარქალური ცხოვრებიდან თავი ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ. ამათ არა აქვთ არავითარი სასწავლებელი, გარდა ერთი სამრევლო სკოლისა, რომელიც არავითარ იმედს არ იძლევა. არა ჰყავთ მოწინავე ვინმე, რომ იმათზე ზრუნვა იტვირთოს, ერთი სიტყვით ესენი ამ მდგომარეობაში დიდ-ხანს ვერ გასტანენ: ან უნდა გადაშენდენ და ან უნდა შეცვალონ ძირიანათ ძველი ცხოვრება. მაქსიმოვმა დიდი ვაი ვაგლახ-ით დააარსა აქ ხერხის მანქანა, მაგრამ იმათი გული ვერას გზით ვერ მოალბო; ყოველ დღე მოდიან საჩივრებით: აი მე ეს ზარალი მაქვს თქვენგან. კანტორა დააკმაყოფილებს თუ არა ერთს, მოდის მეორე და მესამე. გასულ წელს აქაურმა მკვიდრმა, მასწავლებელმა (ბ. ჯანივომ) ის უქადაგა მეზობლებს, რომ ქარხანა თუ აქ დარჩა დიდ-ხანს — დაიღუპებითო. აი ასე უცქერიან სამრეწველო საქმეს. ქარხანაში კი 200 მეტი კაცი მუშაობს, სულ სხვა-და სხვა მხრიდან მოსულნი. მუშების 4/5 შეადგენს ქართველი, 1/5 კი რუსი, აფხაზნი კი არ ეკარებიან. მთელი ზავოდის საქმე, გარდა ფიცრის ხევისა, გადაცემულია, ეგრეთ წოდებულ არტელზე; არტელში მონაწილეობას ღებულობს ათი კაცი. დღიური მუშის ქირა 70 კაპ. 1 მანეთამდეა. მუშაობა მსუბუქია (სხვა ზავოდებთან შედარებით), მუშები ცხოვრობენ ქარხნის კაზარმებში მუქთათ. მუშის დაჯარიმება არას გზით არ იქნება აქ. მაქსიმოვს ჰყავს საკუთარი ფერშალი, აქვს აფთექა და საავათმყოფო. ახლო მომავალში უნდა გააკეთონ აბანო, რომელიც იქნება პირველი მაგალითი კავკასიის ქარხნებისთვის, განსაკუთრებით ბათომის ნავთის-სამრეწველოებისთვის. მაგალითათ როტშილდის ქარხანაში უმეტესი ნაწილი მუშებისა იხოცება ქარხნის ანტი-ჰიგიენური მოწყობილობით. იქ მუშის ტანისამოსი გაჟღენთილია ნავთით და კისლოტით, მაშასადამე, მუშის ტანი ამ ჭუჭყისაგან არ გაიწმინდება ზღვაში ტანის დაბანვით; საჭიროა ორთქლის აბანო. ბ. მაქსიმოვი, როგორც ფაბრიკების ინსპექციის გავლენის ქვეშ მყოფი კაცი, ძალ-დაუტანებლათ ასრულებს იმას, რასაც რუსეთში ზოგიერთებს ძალით აკეთებინებენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ ქვეყანაში ფაბრიკის ინსპექცია დაარსდეს, დიდათ გაუმჯობესდება ჩვენი ბეჩავი მუშის მდგომარეობა და ბოლოც მოელება ზავოდის თავ-გასულობასაც.

ატ—ტი.

კოდორი.

—

ქვემო იმერეთი. ერთი უმთავრესი მიზეზი სოფლელებთა მუდმივი ავათმყოფობისა სადგომები უნდა იყოს. ამ საქმეში არავითარი მოსაზრება ჯანმთელობის დაცვის შესახებ არ არსებობს. აშენებენ უმეტესათ ხის სახლებს; შეხვდებით აქა-იქ ქვის სახლსაც. აშენებენ, თუმცა იშვიათათ, წკეპლის სახლსაც და ქუჩის ტალახით და ან საქონლის ნაკელით ლესავენ. აქაურ სახლებში თავისუფლათ დასეირნობს ქარი, კედლებში იმისთანა ჭურტუმალებია დატოვებული, რომ შიგ სიმინდის ტარო შევა. კარ-ფანჯარას თუმცა აკეთებენ, მაგრამ უფრო შნოსთვის. არც ერთი წევრი ოჯახისა მოვალეთ არ თვლის თავის თავს კარი მოხუროს. თუ კი ვინმე შეცდომით მიუგდებს, მეორე ან მესამე მაინც ღიას დატოვებს, ამის მიზეზია რომ იმერულ სახლებში გარეთის ტემპერატურა არაფრით თითქმის არ აღემატება ოთახისას. უმთავრესი ნაკლი ჩვენებურ სახლებისა — ბუხარია. მას თუმცა ბევრი შეშა უნდება, მაგრამ სითბო უმთავრესათ საკომლეს წყალობით გარეთ გადის. დაინთება თუ არა ცეცხლი, ყველა ცდილობს მას მოუჯდეს. ამ რიგათ ისინი ითბობენ მარტო წინა ნაწილს სხეულისას, ზურგი კი თითქმის გაყინულია; ამისაგან იბადება ბევრი სხვა-და-სხვა გვარი ავათმყოფობა. ყელის ავათმყოფობების ერთი მიზეზი ისიცაა, რომ გამთბარი ყელით ცივ ჰაერში გარეთ მირბიან ბალღები. ჩვენი ფიქრით სოფლის სწავლა-განათლების სათავეში მდგომნი — მღვდელნი და მასწავლებელნი არ იზამენ ურიგოს, რომ აუხსნიდენ ხალხს ჰიგიენის და სანიტარულ მოთხოვნილებების აუცილებელ საჭიროებას, მაშინ ძვირათ ვნახავდით დაბებში შვენიერ ქვის დუქნის გვერდით თითქმის წამოქცეულ ბუდკებს, ძვირათ შეხვდებოდით სოფლათ ამწვანებულ მყრალი წყლით სავსე ადგილებს, ქუჩებში დაყრილ ნაგელს და სახლის გვერდით თავმოყრილ საქონლის ნაგავს. აქავე არ შეგვიძლია არ დავასახელოთ რამდენიმე სოფელი, რომელთა მცხოვრებნი განუწყვეტელ ავათმყოფობაში არიან, მაგ. გვაზოური, სალომინაო, ვარციხე, ტობანიერი, ქოროისობანი, ლანირის მცირე ნაწილი და სხვანი, კარგი იქნებოდა, რომ მთავრობა რაიმე შესაფერ ზომებს მიიღებდეს. თუ კი არაფერი არ შეიძლება, მაშინ უფრო სამართლიანი იქნება, რომ მათ დაურიგდეს ის ადგილები, რომელნიც გადმოსახლებულებს უნდა დაუთმონ.

აქავე აღვნიშნავთ სასიამოვნო ფაქტს. იმერეთის ბუნებისაგან უხვათ დაჯილდოვებული დაბა სოფლები თანდათან ლამაზდებიან. ვინც მატერიალურათ ცოტა მოითქვა სული, ყველა ცდილობს ოდა დაიდგას და მისი შეღებილი კედლებით ეზო დაამშვენოს, ის

ᲘᲨᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲙᲝᲮᲢᲐ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲡ, ᲑᲔᲚᲔᲚᲡ, ᲡᲐᲡᲘᲛᲘᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲡ. ᲘᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘ ᲗᲐᲜ-ᲓᲐ-ᲗᲐᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲣᲗᲛᲝᲑᲡ ᲧᲐᲕᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲖᲝᲒ ᲐᲚᲐᲒᲐᲡ ᲙᲘ ᲙᲠᲐᲛᲘᲢᲡᲐᲪ. ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲜ ᲓᲐ, ᲗᲣ ᲙᲘ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ, — ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲗ ᲥᲕᲘᲡᲐᲡ. ᲫᲕᲘᲠᲐᲗ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲫᲕᲔᲚ ᲩᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲡ. ᲖᲝᲒᲐᲜ ᲥᲕᲘᲡ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲐᲜ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲮᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲪ.

ᲨᲐᲒᲘᲐ ᲓᲘᲐ.

—

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ. ᲐᲥ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ-ᲯᲔᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲘᲐᲠᲛᲣᲙᲐ, ᲗᲘᲗᲝᲛ ᲝᲠ-ᲝᲠ ᲙᲔᲘᲠᲐᲝᲑᲐᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲗᲔᲕᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲡᲢᲐᲜᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗ „ᲤᲝᲥᲘᲜᲝᲑᲡ“ ᲔᲡ ᲑᲝᲒᲐᲜᲝ ᲓᲐᲑᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲝ ᲘᲐᲠᲛᲣᲙᲐ, ᲐᲮᲚᲐᲪ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲣᲗᲮᲔᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲔᲜᲐ ᲘᲬᲧᲝ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲐᲚᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ. (ᲐᲛ ᲘᲐᲠᲛᲣᲙᲐᲨᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲗ ᲨᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲐᲗ.) ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲛᲓᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ-ᲔᲥᲕᲡᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲒᲐᲨᲐᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲡᲐᲭᲝᲮᲔ ᲨᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ. ᲗᲘᲗᲝᲛ ᲡᲐᲭᲝᲮᲔ (15 ᲐᲠᲨᲘᲜᲘᲐ) ᲤᲐᲡᲝᲑᲡ 3—10 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲗ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ — ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲐᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲣᲨᲢᲐᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲑᲐ-ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲣᲠᲘᲐ-ᲡᲝᲛᲔᲗᲜᲘ... ᲡᲐᲛᲘ-ᲝᲗᲮᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲐᲜ... ᲣᲠᲘᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 21 ᲛᲐᲠᲢᲐᲛᲓᲘᲡ ᲐᲠ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲐ... ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲚᲝᲓᲘᲜᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲡᲮᲔᲓᲐᲜ ᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲣᲚ-ᲮᲔᲚ ᲓᲐᲙᲠᲔᲯᲘᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲪᲘᲒ ᲦᲐᲛᲔᲔᲑᲡ ᲘᲥ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ. 22 ᲛᲐᲠᲢᲘ ᲒᲐᲗᲔᲜᲓᲐ. ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲫᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲠᲔᲯᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲜᲚᲐᲗ ᲪᲥᲔᲠᲐ ᲘᲬᲧᲝ. ᲪᲝᲗᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲔᲡ ᲔᲢᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲡᲝᲛᲔᲮ-ᲣᲠᲘᲐᲜᲘ. „ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲜ, ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲜᲝ!“ ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲗᲠᲗᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲛᲔᲑᲘ... ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲒᲐᲨᲐᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ „ᲤᲣᲗᲐ“ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲰᲤᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ.. ᲡᲝᲛᲔᲮ-ᲣᲠᲘᲔᲑᲘ ᲩᲐᲔᲠᲘᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲚ ᲬᲣᲜᲘ ᲓᲐᲰᲙᲠᲔᲡ ᲛᲐᲗᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲫᲚᲔᲕᲐ. ᲮᲐᲚᲮᲘ ᲨᲔᲫᲠᲬᲣᲜᲓᲐ... ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲐ... „ᲒᲣᲨᲘᲜ „ᲣᲩᲘᲢᲚᲘᲡ“ ᲪᲝᲚᲛᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ ᲛᲐᲫᲚᲘᲐ, ᲛᲐᲠᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲪᲘ ᲐᲒᲘ ᲡᲐᲩᲝᲮᲔ; ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲜ ᲝᲠ ᲛᲐᲜᲐᲗᲡ ᲛᲐᲫᲚᲔᲔ; ᲔᲡ ᲠᲐᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ?!.. ᲜᲔᲢᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲪᲐᲝ!“ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲜᲐᲦᲔᲚᲘᲐᲜᲐᲗ ᲡᲬᲧᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲘ ᲩᲐᲠᲩ-ᲣᲠᲘᲐᲡ... „ᲐᲠᲔᲘᲪᲘ ᲛᲔ ᲣᲩᲘᲢᲔᲚ-ᲛᲣᲩᲘᲢᲔᲚᲘ!.. ᲗᲣ ᲒᲐᲫᲚᲘᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲪᲘ, ᲕᲘᲜ ᲓᲐᲒᲘᲨᲐᲚᲐ!.. ᲛᲔᲢᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲪᲔᲛ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲙᲕᲓᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ!... ᲰᲐ!.. ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲪᲔ?.. ᲓᲐᲘᲪᲘ ᲤᲣᲚᲘ... ᲮᲛᲐ ᲮᲔᲓᲐᲕ ᲠᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘᲐ!?. ᲗᲕᲐᲚᲡ ᲛᲝᲒᲪᲠᲘᲡ!.. ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ... ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ... ᲰᲐ-ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ... ᲐᲠ ᲒᲘᲜᲓᲐ?,, ᲐᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲠᲝ-ᲑᲘᲗ... ᲬᲐᲓᲘ ᲨᲐᲕ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ, ᲝᲠᲛᲐᲜᲐᲗ ᲣᲨᲐᲚᲗᲣᲜᲘ?.. ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ!.. ᲰᲐ!... ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲘ, ᲗᲕᲐᲠᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲘᲦᲔᲑᲡᲝ!... ᲘᲜᲐᲜᲔᲑ ᲩᲔᲛᲐ ᲠᲯᲣᲚᲛᲐᲝ“!.. ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ.. ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲐᲗ ᲐᲑᲠᲣᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲑᲠᲛᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲓᲔᲚ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲗᲐ ᲩᲐᲠᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲬᲕᲐᲕ-ᲜᲐᲓᲐᲒᲡ ᲩᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲗ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲛᲐᲗ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲗ ᲓᲐᲑᲝᲭᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ ᲓᲐ ᲨᲐᲚᲘᲡ ᲖᲔᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ... ᲑᲔᲩᲐᲕ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲩᲜᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ, ᲡᲣᲚᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲩᲘᲜᲐᲗ ᲯᲐᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲮᲐᲠᲑᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲘᲛ ᲗᲘᲗᲝᲛ— ᲝᲠᲝᲚᲐ ᲛᲐᲜᲐᲗᲡ ᲩᲐᲠᲩ-ᲑᲐᲪᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲞᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲦᲐᲕᲬᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲐᲗᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲤᲐᲠᲔᲑᲐ.... ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ: „ᲐᲠᲐ ᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲠᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲕᲔ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲗ ᲐᲕᲬᲝᲜ ᲓᲐᲕᲬᲝᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲘᲛ ᲑᲐᲪᲐᲪᲐ ᲣᲠᲘᲐ-ᲡᲝᲛᲔᲗᲗ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲩᲐᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲔᲕᲐᲚᲝᲗ“?... „ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲐ!“ ᲛᲔᲕᲔ ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑ ᲩᲔᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ: ᲐᲙᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ-ᲡᲗᲐᲜᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲓᲘᲡ!.. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲙᲘ ᲘᲛᲐᲨᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲒᲔᲜᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡᲐᲛᲔ ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲐᲗᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲣᲧᲠᲘᲐ, ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲐᲜ ᲘᲛ ᲝᲠᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲙᲕᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲜᲥᲐᲠᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲐᲗ; ᲛᲐᲜ ᲓᲐᲤᲚᲐ ᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲜᲥᲐᲠᲘ ᲛᲘᲣᲢᲐᲜᲐ!.. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲜᲥᲐᲠᲘᲪ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲑᲠᲣᲜᲔᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲡ ᲕᲘᲜ ᲝᲯᲐᲮ-ᲥᲝᲠᲘ ᲩᲘᲐ!?... ᲜᲔᲢᲐᲕ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲐᲛ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐᲖᲔ? ᲠᲐ ᲛᲘᲖᲖᲔᲖᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲠᲐᲛᲔ ᲓᲐᲰᲔᲯᲘᲗᲔᲑᲗ, ᲗᲕᲐᲠᲐ ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲖᲚᲕᲐᲠᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ.

Მ. Ზ.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

ᲛᲝᲚᲓᲕᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ — ᲩᲘᲜᲝᲡᲢᲠᲐᲜᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐ — ᲫᲕᲔᲚᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲛᲝᲡᲘ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲛᲝᲡᲘ! — ᲒᲔᲫᲔᲑᲗ ᲣᲤᲠᲝᲡᲡ.

ᲕᲐᲒᲔᲒᲛᲝᲜᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ „ᲒᲕᲔᲚᲡᲐ ᲮᲔᲠᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲡ ᲔᲜᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲗ ᲛᲝᲣᲑᲐᲠᲘᲝᲗ“, ᲓᲐ ᲔᲡ ᲙᲐᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ „ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ“ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲜᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲫᲘᲠᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲠᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲡᲣᲚ ᲒᲝᲓᲠᲘᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგამს. მე შენ გეტყვი ეხარჯვის რამე თუ? ყველა შეაქე, ყველას მიელაქუცე, ყველას შეეწყვე, აი, გამოძრომის და გამოცინცელის მთელი ფილოსოფია. და მერე რამდენი მიმდევარი ჰყოლია ამ „ყველას შეაქეს“ ფილოსოფიას! ანგარიში არ აქვს. მარა მე პირადათ იმდენი ერთათ არასოდეს არ მინახავს, რამდენიც ამ ერთ კვირაში გადამეყარა და ესენიც სულ საზოგადო მოღვაწენი გახლავან! ძალიან ეწუხვარ, მითხრა ერთმა—რომ ამდენ მწარე სიტყვას გვაგონებ, ვის გაუგონია ეს. გეტყობა გამოუცდელი ხარ.—შენ, ძმაო, სულ არ გცოდნია, როგორ უნდა სახელის მოხვეჭა—მომისამძიმრა მეორემ. ტკბილ სიტყვას და თავაზიანობას რა ჯობია! ან და რა გვაქვს საჩხუბარი, ჩვენ, ქართველები, ყველა ძმები ვართ. შინაობაში რაღაცა მოხდება, ის რა გარეთ გასატანია, აი, კერძო წერილი მომწერე და მორჩა და გათავდა, გავსწორდებიო. მაშ გაზეთი საჭირო აღარ ყოფილა! შეეუბრუნე მე.—გაზეთი როგორ არ არის საჭირო, მაშ საიდან გაიგოს ქვეყანამ ჩვენი სახელი და გვარი, ჩვენი საქმეები, მხოლოთ ცუდს ნურას იტყვის და მერწმუნე მკითხველი თმის სისქე ეყოლებაო, მიმიგო საზოგადო მოღვაწემ. აი, საზოგადო მოღვაწეობის ახალი პროგრამა!

***

და ამ პროგრამის ერთი მატარებელთაგანი უეჭველია თ. კიტა აბაშიძე უნდა იყოს. ის, როგორც იცით, ალაპარაკდა და ალაპარაკდა არა როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, უბრალო მომაკვდავი, არამედ როგორც მოხელე, თანამდებობის კაცი. მართალიც გითხრათ, ჩვენ სრულიად მიგვავიწყდა ის, რომ თ. კიტამ ჩინები მიიღო, ჩვენ ის წინანდულათ საზოგადო მოღვაწე გვეგონა და ამიტომ მის მოღვაწეობას შეეხეთ. ახლა გამოდის, რომ ეს შეხება მისი ადგილის და ჯამაგირის შეხება ყოფილა და ამიტომ ატეხა ესოდენ აურ-ზაური: უყურეთ, უფროსებთან მასმენენ, ლუკმას მართმევენ, ჩემი ალაგი შეშურდათო! მას ერთობ სულ ეს ელანდება და ჭგონია, მთელ ქვეყანასაც ამის მეტი საფიქრებელი არა აქვს რაო. ახლა კი მესმის, რატომ ასე საშინლათ განრისხებულა მათი ბრწყინვალება „კნიაზი“ კიტა. და მერე არ მართებს თუ! მაშ მოვეხმაროთ მათ ბრწყინვალებას და უზრუნველეყოთ ის ტახტსა ზედა განცხრომისასა...

***

მარა ვერაფერ განცხრომაში უნდა იყვენ თფილისის „კონკის“ კუჩრები. თ. კიტა თუ ფუფუნებაშიაც კი აჯანყდება ხოლმე, რაღა გასაკვირველია სხვები გაჭირვებაში ამხედრდენ და რამდენიმეთ კიტასებური ცხოვრებაც მოითხოვონ, საქმით თუ ვერა, სიტყვით მაინც და, აი, თფილისის კუჩრებიც ერთ შვენიერ დილას მისულან თავის სახელოვან რობისთან და მოწიწებით გამოუცხადებიათ: თქვენ ჩვენი ბატონი ხართ, ჩვენ კი თქვენი ყმა. ჩვენ უბატონოთ არ შეგვიძლია გაძლება და თქვენ კი უყმოთ. ეს ასეა დადგენილი უკუნით და იქნება უკუნისამდე. მარა ეს კი გასაკვირველია, რომ ყველაფერი ბატონს ერგება და ყმას კი აღარაფერი რჩება. შეიბრალეთ ეს ამოდენა არაფრის მექონე ხალხი და თქვენდა ნახელავათ მაინც გვიწყალობეთ რამეო. და მერე იცით, რა მოწყალებას თხოულობდენ? რას და სამ მანათიან ძველ ფარაჯაში შვიდ მანათს ნუ გვახდევინებთო! ბ. რობი მარტო „კონკის“ მწარმოებელი არ ყოფილა, ის თურმე „სტარი ოდიოქდი“-თაც ეაჭრობს. ძველ-ძველ შინელებს ყიდულობს ბაზარში და მერე ორჯერ მეტ ფასათ თავის ქვეშევრდომთ მიჰყიდის. აბა, გაბედოს და უარი თქვას რომელმამე მათგანმა, ეს ძვირია, არ ვიყიდიო. ვაი მის ბედს, მეორე დღესვე კანტორაში დაიბარებენ, მიიღეთ „რასჩოტიო“. აი, ამაზე იტყვიან, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო.

***

ერთ ხათაბალაში სოხუმი ყოფილა გაბმული. ჯერ იყო ხმოსნების ამორჩევა გაჭირდა, რამდენჯერ მოხდა ამორჩევა, იმდენჯერ მოჰყვა გაუქმება. წელს, როგორც იყო, ეს დაბრკოლებაც დაძლიეს, ყველა ზღუდეები ჩაჩეხეს და ჩაიარეს და სიმართლე გითხრათ, ჩინებულათაც ჩაიარეს, უკეთესათ, მგონი, აღარ შეიძლებოდა. მარა, ამდენ ხმოსანს ხომ ერთი თავმჯდომარე უნდა და ამოდენა ქალაქს ერთი თავიც. და, აი, შეუდგენ სოხუმის თავიანი კაცები ამ სხვისი თავის ძებნას. აფრინეს შიკრიკები ყველა მხრით და დიდ თავიანებს შეუთვალეს: ქვეყანა ჩვენი ფართო და უხვია, ღვთის და თქვენი წყალობით აღარაფერი გვაკლია, გვაკლია მხოლოთ ერთი უფროსი, მიიღეთ წყალობა, შეგვიბრალეთ ამდენი ხალხი, მოდით და იუფროსეთ ჩვენზეო. უფროსნი კი ხმას არ იღებენ, თავები ჯერ არსაიდან მოგორავენ. მხოლოთ ვიცით ის, რომ პირველათ ჩრდილოეთიდან მოინდომეს თავის ჩამოგორება, შუაზე დიდი მთა დახვედრია და შეუჩერებია. ახლა სამხრეთისაკენ მიუქცევიათ ყურადღება და რადგანაც სოხუმამდის სულ თავ-ჩაღმართია იმედია აქედან ჩაგორდება ერთი ეინმე და უთაოთა თაობას გასწვეს.



მადრიდის, ისპანიის სატახტო ქალაქი.

რედაქციისაგან.

ᲒᲐᲖ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲛ“ კვირას (№ 62) უძღვნა თავის მკითხველებს ჩვენდამი ლანძღვის ლექსიკონი, შედგენილი თ. კიტა აბაშიძისაგან. იგი სხვათა შორის ასაბუთებს თავის უშვერ ლანძღვას შემდეგი სიტყვებით: „ბ-ი კალისტრატე ჩიკვაიძის ინტერესია ერთი ორგანო მაინც ჰყავდეს დამცველათ და ამიტომაც აძლევს „კვალს“ სუბსიდიას განცხადებების სახითო.“

ამის პასუხათ მოვახსენებ ყველას, რომ ექვსი წლის წინეთ, როდესაც „კვალი“ დავაარსე, ქუთაისის ბანკს გავუგზავნე თხოვნა, რომ ექვს კაპეიკათ ვიკისრებ განცხადების დაბეჭდვას მეთქი, რასაკვირველია, იმათ ამჯობინეს განცხადებების გამოგზავნა ჩემთან, რადგან ჩემი ფასი უფრო ნაკლები იყო „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐᲖ“ და, მგონია, ყველა ბანკის წარმატების მსურველი ასე უნდა მოქცეულიყო. ამაში ბანკის გამგეობა გასაკიცხი კი არა—უფრო მადლობის ღირსია—საზოგადოების თვალში. ქუთაისის ბანკის გამგეობა რომ მხოლოთ ფულის ნაკლები დახარჯვით ხელმძღვანელობდა, ეს იმითიცა ჩანს, რომ როდესაც „გაზ. მეურნის“ რედაქტორმა გამოუცხადა ქუთაისის ბანკს, მე კიდევ უფრო ნაკლებ ფასათ დავბეჭდავ განცხადებებსო, მაშინვე იგი მას გადასცეს. ჩემი ინტერესი გამგეობას არ შეუწყნარებია. მაგრამ „გაზ. მეურნის“ რედაქტორმა ერთხელ დაბეჭდა და მეორეთ კი ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა და უარი თქვა. მაშინ, მეტი ღონე არ იყო, ქუთაისის ბანკმა განცხადების დაბეჭდვა ისევ მე მომანდო. ამას შემდეგ, იმედია, ყველა დარწმუნდება თავ. კ. აბაშიძის ცილის წამებაზე. თფილისის ბანკის გამგეობაშიაც კი შევიტანე წინადადება, რომ ერთი ორათ უფრო იაფათ ვიკისრებ განცხადებების დაბეჭდვას მეთქი, ვიდრე იგი იბეჭდება, მაგრამ თფილისის ბანკის გამგეობას არაკი მიუქცევია ჩემი წინადადებისათვის ყურადღება, თუმცა იგი საარგებლო იყო ბანკისთვის (ეს იყო მაშინ, როდესაც გაზ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ დროებით შეჩერებული იყო). მაინც განცხადებები უფრო ძვირათ სხვას მისცეს დასაბეჭდათ და არა მე. კიტა აბაშიძე იმასაც კი გვაქადის, რომ თუ ოპოზიციამ ქუთაისის ბანკი ჩაიგდო ხელში, „კვალის“ რედაქციას განცხადებებს არ აღირსებსო. ხედავთ, რა წერიმალი ინტერესების პატრონი ყოფილა ეს ოპოზიცია, რომელიც ასეთ პირადობასაც კი ურცხვათ ამჟღავნებს!

„კვალს“ ყოველთვის ჰყოლია და ჰყავს დიდძალი თანამშრომლები. დეე, ერთმა მათგანმა მაინც თქვას, როდის მითქვამს მათთვის, რომ ქუთაისის ბანკის შესახებ ნურას დასწერთო, ან ვისმეს გამოეგზავნოს ცოტა მაინც საბუთიანი კრიტიკული წერილი ქუთაისის ბანკის შესახებ და მე არ დამებეჭდოს. ვისაც თვა-

წიგნების მოყვარული არისტოკრატკა.

ლები ახვეული არა აქვს და მხედველობა არ დაჰკარგვია, „კვალში“ წაიკითხავდენ ადრეც და შარშანაც ქუთაისის ბანკის შესახებ კრიტიკულ სტატიებს. აბა, ბძანოს თავ. კ. აბაშიძემ, ასევე იქცევა თუ არა ის რედაქცია, რომელშიაც ის მოწიწებით თანამშრომლობდა და რომელშიაც თფილისის ბანკის განცხადებანი ერთი ორათ უფრო ძვირათ იბეჭდება, ვიდრე ჩვენ ვბეჭდავთ ქუთაისის განცხადებებს.

რედ. ან. წერეთლისა.

ქუთაისი 1898 წ. *)

ლიბერალური მრავალ-სიტყვაობა — ინტელიგენციის არისტოკრატიული ნაწილი — ბუმბერაზის სურვილი კანონია — ქუთაისის საბჭოში მალაყები — ბ. ს. ყიფიანი და მისი მფარველი ქუთაისი — ქუთათური ქალების გულკეთილობა — დაქსაქსული ახალგაზრდობა.

Როგორც ვთქვით, საქმეს კარგი პირი უჩანდა და კარგი „მომგებიანობაც“, მაშასადამე, სადაც კარგი მოგებაა, იქ ცოდნა და გამოცდილება უნდა გამოიჩინო, რომ შენმა „თანამგრძნობელ ამხანაგებმა“ საქმის მმართველათ აგირჩიონ. სწორეთ ასეთ გზაზე იყო იქაც „მეაბრეშუმეობის და ფეიქრობის ამხანაგობის“ საქმე შეყენებული, როცა სადაო ვაშლს ერთი მეორეს ხელიდან ტაცებდა, ერთი მეორეს აქედან გაგდებას უპირებდა, ერთი მეორეს საფეიქრო მუშების ქალ-ვაჟთა შორის ხელ-გაშლილობას წამებდა. ხოლო ყველა ეს „საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ არ იყო, რადგან აქ არ იხედებოდა „მომგებიანობა ამხანაგობის წევრთათვის“-ო, გვეუბნება დირექტორების ოქმები დ ანგარიშები. ამ დაუდეგარმა მიზეზმა თავი იჩინა დ ზოგი აქეთ მიახალა და ზოგი იქით. ახლა კითხვა იმაში იყო თუ ვინ ვის გააძევებდა აქედან და ვინ ჩადგებოდა საქმის სათავეში. რაკი აირია მონასტერი, ახლა „პირადი ენერგიის, ნიჭის და მხნეობის“ აჩრდილიც კი გაჰქრა, უკუ მიაგდეს, და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ მიაწვენ-და-მიაწვენ გარეთ გასაგდებათ. ამ მოძრაობამ შეაშინა ინიციატორი არ. ანჯაფარიძე, მართლა არ გადმომაგდონ საბუდარიდანო და მაშინვე საქმე ჩვენებური ხერხიანობით გაჩარხა. დაწერეს ახალი პირობა და ხელიც ნოტარიუსის კანტორაში მოაწერეს. ამ პირობაში ოთხი თუ ხუთი კაცი ითვლებოდა პასუხის მგებელ სრულ ამხანაგებათ. ამათ შორის იყო ქ-ბ. ზა[illegible]საც, რომელსაც, როგორც ამბობდენ, დიდი ფული შეჰქონდა თურმე ამხანაგობის საქმეებში. ეს ამბავი ნოტარიუსის წესით შეატყობიეს ძველ გამგეობას. შეიტყვეს ეს თუ არა, შექნეს კიჟინა: მოგვეშველეთ, სამშობლო განსაცდელშიაო... მაშინვე დანიშნეს არა ჩვეულებრივი კრება, მაგრამ ამ კრების კრებული ძველ მართველობას არაფრათ ეპიტნავა, რადგან კრებაზე ანჯაფარიძის მომხეები ბევრი გამოჩნდა. ეს იქიდან წარმომდგარა, რომ ანჯაფარიძეს უკანასკნელი არეულობის დროს თავის მომხრეებში პაები დაურიგებია, და მომხრეები შეუძენია. მმართველებმა კრების გადადება მოითხოვეს და კიდევაც გადადვეს ერთი კვირით. რა კი ეს გაიყვანეს შემდეგ ამ ერთი კვირის განმავლობაში ჰყიდეს და არიგეს უშიშრათ პაები. როცა გული იჯერეს პაების დარიგებით, აწონდაწონეს ახლათ შეძენილი ძალ-ღონე და აღმოჩნდა, რომ მათ ხმაზე მისაშველებლათ გამოქცეულან ბევრი ახალგაზდები თუ მოხუცი, ქალები თუ ვაჟები და ამ ნადით 19 აპრილს კრებაზე გამოცხადდენ. პირველათ უფროსმა დირექტორმა ბ. კ. ბაქრაძემ, წაიკითხა საბრალდებულო ოქმი, რომელიც ასე იწყება: „ყოფილი მეორე გილდის ვაჭარი არტემ ანჯაფარიძე, რომელმაც ზარალი ნახა თავის სავაჭრო საქმეებში, არის შეპყრობილი ძლიერი სურვილით, რომ რაიმე ფერათ გამდიდრდეს. დააფუძნა ქუთაისში მეაბრეშუმეობის და ფეიქრობის საქმე, მისცა საზოგადო სასარგებლო (?!) ხასიათი, ჩვენც თანავუგრძნენით, მივიღეთ მონაწილეობა, და მასთან, ანჯაფარიძის ინტერესის დასაცველათ, თავიდან ავიშორეთ ისეთი დაბრკოლება, როგორიც არის გაკოტრებულათ გამოცხადებული კაცის მონაწილეობა სავაჭრო საქმეში. ჩვენ მოვახერხეთ და ის სხვისი სახელით შეიქნა ამ საქმეში სრული ამხანაგი“ და სხვა-და-სხვა.... კრების უმეტესობის ყურადღება ძველმა გამგეობამ დაიმსახურა და ბედის ვარსკვლავმაც მას გაუღიმა. გამგენი თავს გამარჯვებულათ თვლიდენ, თუმც კი გამარჯვება კიდევ შორს იყო.

ბ. კ. ბაქრაძის მოხსენების კვალს გაჰყვა „ივერიის კორრესპონდენტი“ და წარმოიდგინეთ ბ. ალ. ნანეიშვილიც კი ასე წერს: („ახ. მ მოხ,“ № 4931) „ცხოვრებს ქუთაისში ვიღაც არ. ანჯაფარიძე, წინეთ მეორე გილდის ვაჭარი. ერთ შვენიერ დილას მოსკოვის და სხვა ვაჭრებისაგან წამოიღო 40 – 60 ათას მანეთათ ღირებული საქონელი და მაშინვე ვაჭრობა თავის ძმის სახელზე გადაიტანა, შემდეგ კი ილარიონ ლორთქიფანიძის სახელზე, რომ ამ საშუალებით თავიდან აეცილებია არა სასიამოვნო კრედიტორები“ და სხვა... ეს სრულიად ეთანხმება კრე-

*) იხ. „კვალი“ № 12.

ბაზე წაკითხულ მოხსენებას და გვიკვირს, როცა სამეურნეო საზოგადოების მდივანი ამას წერდა, რატომ ერთი სიტყვით მაინც არ მოიხსენა ის, რაც ანჯაფარიძის შესახებ ამ საზოგადოების კრებებზე ითქვა. ჩვენ სახეში სულაც არ გვაქვს ანჯაფარიძის გამართლება ან მისი ბრალმდებლების გამტყუნება. ჩვენ გვსურს მივუთითოთ იმ შეცდომაზე, რომელიც იმათ წინეთ ჩაიდინეს და მათ ახლანდელ კრიმანჭულებზე. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ინტელიგენტთა კამპანია უფრო აბნევს საზოგადოებას, ვინემ გაკოტრებული ანჯაფარიძე. ვაჭართა წრე კარგათ იცნობდა ანჯაფარიძეს, ისიც იცოდა, თუ რა პირადი ინტერესი ამაგრებდა მას. მაგრამ საქმეში ჩაერია თუ არა ინტელიგენციის არისტოკრატული ნაწილი, ეს ანჯაფარიძის სავაჭრო-საჩარჩო საქმე საზოგადოების სასარგებლოთ და სანატრელათ გამოაცხადეს. დაჰკრეს ბუკ-ნაღარა, აი საქვეყნო საქმე, მოდით ქვეყნისთვის თავდადებულნოვო. და აი, ამ იმედების ნაცვლათ საზოგადოებას თავზე პოლიციელები და გამომძიებლები დაასიეს.

ქუთაისის სამეურნეო სკოლის უიღბლობა მთელმა ქვეყანამ იცის. იმისი უიღბლობა შესაფერი სკოლის მმართველის მოუპოვებლობაში იფარება. ამ სკოლას დაბადებიდან დღემდის ერთხელაც არ ღირსებია, რომ თავის მოწოდების თანახმათ ემოქმედოს. ის მუდამ მმართველს ეძებს და ირჩევს. ერთი მიდის სხვა მოდის, ესეც მიდის და კიდევ ვიღაც მოდის. ასეთი შეუწყვეტელი მოგზაურობის შეჩერება მოინდომა ამავე სკოლის მზრუნველათ ნამყოფმა, და მმართველის ალაგზე თავის კანდიდატი წამოაყენა. ეს ამ სკოლაშივე მასწავლებელი ბ. მკურნალი გახლავთ. ამისი ღირსება, პირადობა მისმა მფარველმა შემდეგ სიტყვებში გამოთქვა: მართალია, მას არ გაუთავებია უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი, მაგრამ ეს კაცი, რამდენათაც მე, აგრონომს, დამეჯერება, თავის საქმის საკმაოთ მცოდნე, გამრჯელი, დაუღალავი მშრომელი და საქმის ფანატიკოსიაო. ამიტომ ისურვა, რომ ის აერჩია სამეურნეო განყოფილების წევრებს, (არჩევას შემდეგ ის უნდა წარედგინათ სამინისტროსათვის დასამტკიცებლათ); ძველ მზრუნველს ბევრი დაეთანხმა—უმეტესობამ მიიღო მისი კანდიდატი, უმცირესობის ფიქრები კი ჩაილულის წყალსავით ჩაივლიდა, და ბუმბერაზის სურვილი მართლა დაკანონდებოდა, რომ ამ საქმეში ერთ გარემოებას თავი არ გამოეყო.

გაგონებით ვიცით, რომ ამ სკოლის მასწავლებელს ბ. ჩიხლაძეს ჰქონია პირადი უკმაყოფილება ბ. მკურნალთან, ამიტომ ბ. ჩიხლაძე წინააღუდგა ბ. მკურნალის კანდიდატურას და ეს კრებაზევე იერიშის მიტანით გამოაცხადა. თუმც კი მისი იერიში სიძულვილისაგან იყო გამოწვეული, მაგრამ ამ გარემოებამ ის სწორ პრინციპიალურ შეხედულებაზე დააყენა. სამეურნეო განყოფილების წევრებს ეუბნებოდა ბ. ჩიხლაძე, რომ მე პირადათ მკურნალის არჩევანის წინააღმდეგ არაფერი მაქვს, მაგრამ მაინც ვერ დაგეთანხმებით ამ სასარგებლო საქმისათვის ასეთ ვიწროთ განსაზღვრულ არჩევანზეო. მე საჭიროთ მიმაჩნია, რომ ჩვენი სამეურნეო სკოლის სავაკანსიო ადგილი საქვეყნოთ გაზეთებში იქნეს გამოცხადებული, შემდეგ ამისა თხოვნები შემოვა და ვინც ამ სკოლისათვის უფრო მცოდნე, ენერგიული და გამოსადეგი აღმოჩნდება ის ავირჩიოთო. კრებამ არ მიიღო ბ. ჩიხლაძის წინადადება, თუმცა მის სამართლიანობას ყველა გრძნობდა.

ბ. ჩიხლაძე კი იძულებული შეიქნა თავისი წინადადება ბოლომდის დაეცვა. მან განყოფილების ქაღალდს სამინისტროში თან გააყოლა თავისი ქაღალდი, სადაც ის ხსნიდა თავის აზრს ბ. მკურნალის კანდიდატურის შესახებ. ჯერ განყოფილებამ მოინდომა საჩივრის გადამალვა, მაგრამ, როცა სამინისტრომ მოითხოვა რა ქაღალდია ასეთიო, მაშინ კი ინებეს გაგზავნა; მაგრამ ახლა თავისიც ბევრი რამ დაუმატეს ზედ. უთუოთ ამ გვარი არევ-დარევის ბრალი იყო, რომ სამინისტრომ თავისი კაცი გამოგზავნა ამ ბედ-კრული სკოლის საქმეების გამოსაძიებლათ. რევიზორს, როგორც ისმის, საზოგადოთ ცუდი აზრი შეუდგენია ამ სკოლის მზრუნველ-პატრონებზე.

ი. კაკაბაძე.

(შემდეგი იქნება)

პირიმზე

რომანი

ნაწილი I.

ბატონ-ყმობის დრო.

XII.

(გაგრძელება) *)

შემოდგომის მიწურული იყო. დასავლეთის ცივი ქარი ამოვარდა და უწყალოთ აცლიდა ხეებს გაზაფხულის მწვანე ხავერდის სამკაულს. გამხმარი ყვითელი და ნარიჯის ფერი ფოთლები ირეოდენ ჰაერ-

*) იხ. „კვალი“ № 12

ში სირის გუნდიეთ. ლაქვარდ ცაზე დაგლეჯილ-დაფლეთილი თეთრი ღრუბლები მიეშურებოდენ ბატკნის ჯოგივით დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და ღელეს თუ ხვალ უქადდენ ქვეყანას ზამთრის თეთრ ქურქს.

სუსხიანი დილა გათენდა. გარეთ ქარი ღმუოდა, რომელიც თან ცივ წვიმის წინწკლებს აყრიდა არემარეს და თან ლონიერათ არყევდა ბაკურიძის ოდას. კედლები მის გამო ისე საწყლათ კვნესოდენ, გეგონებოდათ, საცა არის, ფეხს აუდგამს ამ ოდას და ქათმის საბუდარივით გადმოაბრუნებსო. ოდის ჭვრიტიმალები ალაგ-ალაგ ქაღალდ-გაუკერელი დარჩენოდათ და ამ ფარღალალებში ქარი მუდამ სალამურს უკრავდა, თუმცა ოდაში მცხოვრებთათვის არაფერი სასიამოვნო იყო ამ დროს ასეთი მუზიკა; ბუხრებში ცეცხლს გიზგიზი გაჰქონდა. ანასტასია ბაკურიძისა ტახტზე იჯდა, კალთაში პატარა დაუჯდომელი გაეშალა და ტუჩებს აკმაცუნებდა, როგორც ეტყობოდა, ლოკულობდა. პირ-და-პირ ერთ კუთხეში ხატების წინ წმინდა სანთელი ბჟუტავდა, რომლისკენაც ანასტასია დრო გამოშვებით აღმართავდა ხოლმე თავის შავ თვალებს და ისეთნაირათ დაჰნაბავდა, რომ გეგონებოდათ, სასოებისაგან გული წაუვიდაო—ეს იყო ნიშანი მხურვალე ვედრების. —შემდეგ უეცრათ შეჩერდებოდა, თითქოს ლოცვა გაწყვიტაო და რამდენსამე ხანს თვალებს მიაპყრობდა გაცხოველებულ ბუხარს, თანაც წამოიძახებდა: „ღმერთო, ნუ გამირისხდები მე ცოდვილს, მე გარეწარსო. ფუჰ! დაწყეველოს ღმერთმა ეშმაკი! რა დროს ამისთანეების მოგონებაა! „უფ ლო, შეეინანო მე შეცოდებანი ჩემნი ნებსითი და უნებლიეთნი... ნუ მიაქცევ პირსა შენსა გარეშე ჩემსა“! ამ სიტყვებს შემდეგ ისევ სწრაფათ ჩახედავდა თავის დაუჯდომელში, ხელახლა მოჰყვებოდა ბუტბუტს და პირჯვრის წერას. მეორე ოთახში ბუხრის წინ ხალიჩაზე მუხლები მოეკეცა პირიმზეს, დაგლეჯილი ხის ყდიანი დავითნი გადაეშალა და ჰკითხულობდა ისე ნელა ⷭ ხმა-გაგძელებით, რომ შორიდან გეგონებოდათ, სწორეთ ჩონგურზე ამღერებსო. პირიმზეს შეჭმუხვნილი წარბები და ცრემლიანი თვალები ნათლათ ხატავდენ, რომ წიგნის კითხვა იმას არაფრათ ეხალისებოდა და მეორე ოთახში მჯდომარე დედის რომ არ შინებოდა, ვეგონებ ფერფლათ აქცევდა უმისოთაც დაფლეთილ დავითნს. ჩუმათ კი ხვას არ აკლებდა. როგორც რომ ცოტა შეჩერდებოდა, ვითომც შეეისვენეო, მაშინვე ფურცლის ყურს მოჰხევდა დავითნს და ჩაიდებდა პირში, თითქოს თავის გაწვალებისთვის ჯავრს ამ დავითნის ნაგლეჯს აცხრობდა: „ჰი, ჰი, ჰი! აგრე მოგიხდება! კბილით უნდა დაგფრიწო, დაგგლიჯო, ჩემო სიცოცხლის დამამწარებელოვო“! ამ სახით სანამდის ერთ გვერდს გაიბეჯითებდა—ფურცლის ნახევარი დავითნში აღარ იყო და გამქრალ ნახევარ გვერდზე რაც ფსალმუნი ეწერა უბრალო ქაღალდზე ხელმეორეთ უნდა დაეწერა ანასტასიას და წიგნში ჩაეკრა. ის ბევრჯელ დაუსისხლიანებდა ხოლმე გიტოს ხელებს: „შე მიწადასაყრელო, რატომ ხევ, რატომ არ უფთხილდები მაგ წმინდა წიგნს, რომ სულ ნაფლეთების მეტი აღარა არისრა! ნუ იცი ხევა, თვარა პირიმზე ნუ მიმიკვდება, მოგჭრი მაგ ხელებს!—ეტყოდა გაჯავრებით დედა და თან სცემდა ხოლმე ხელებზე. პირიმზე გაჯიუტდებოდა, რაც უნდა ტკენოდა, არ იტირებდა და არც ხმას ამოიღებდა, გულში თითქოს კიდეც დაცინოდა: „ჰი, ჰი, ჰი! ხომ ვერ მატირეო“! მართლაც, დედას უფრო ჯავრი იმაზე მოდიოდა, რომ პირიმზე უტირლათ უძლებდა მის ცემას. ბოლოს გაკერპებულ ყმაწვილს გააგდებდა მეორე ოთახში. ერთხელ კითხვის დროს რაღაც ენა ვეღარ გაიგონა პირიმზემ და სიტყვებსაც ბეჯითათ ვეღარ ამბობდა; ანასტასია მაშინვე მიხვდა, პირიმზეს პირში რაღაცა უდევსო, მოიხმო და პირი დააღებინა. მართლაც, ბავშს მსხვილი ბურთი დავითნის ნაგლეჯებისა პირიდან გამოუვარდა. დედამ შეჰყვირა: „გამოყავი ენა, შე ეშმაკის მოდგმისაო“! და როცა გამოაყოფინა, ანასტასია ენის წვერში ეცა პირიმზეს ორივე ხელებით და ეუბნებოდა: „მე შენ ენა უნდა ამოგგლიჯო, უნდა ამოგგლიჯოვო“. პირიმზეს მართლა ეგონა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე იყვირა.

ბევრი ამისთანა საშუალება იხმარა ანასტასიამ, მაგრამ დავითნის ხევა მაინც ვერ გადააჩვია თავის ქალს!

იმ დილით პირიმზე ჩვეულებრივი დაზარებით ეწვეოდა დავითნის კითხვას. ანასტასია თუმცა ლოცულობდა, მაგრამ ცალი ყური მაინც თავის ქალისკენ ეჭირა. პირიმზეს ერთიც არ შეცდენია ისე, რომ დედას მეორე ოთახიდან მუქარით და წყრომით არ გაესწორებინოს.

ცოტა ხანს შემდეგ ოთახში შემოვარდა სიცივით აკანკალებული მარინე; თავისი ტალახიანი ფეხები ბუხარში შეაწყო და ხელებსაც ალზე ითბობდა. როცა მან სული მოიბრუნა, ცხვირი ხელით მოიხოცა, ხალიჩაზე წაუსვ-წამოუსვა და თავის ბატონისშვილს გვერდით დაუჯდა. პირიმზემ მაშინვე დავითნის კითხვა შეწყვიტა და დაბალი ხმით ჰკითხა მარინეს:

— სად იყავი?

— სამზარეულოში.

— რას აკეთებდი?

— რას ვაკეთებდი და ფეხებს!.. დილავარდისას ამბავი არ იცი, რომ ტყულა არ დამაყენებს?.. ჯერ

სამუახლოდ დამახვეტინა, მერე წყალზე გამაგდო უშეღლებელი ჩაფით... ისე შემცივდა, რომ სულ გავიყინე.

— მარინე, რომ იცოდე, რავა მშია!..—შეჩივლა პირიმზემ. წუხელი ვახშამი კი არ მიჭამია.. თუ გიყვარდე, წადი, დილვარდისას უთხარი, საჭმელი გამომიგზავნოს... თუ მომიტან, შენც გაჭმევ.

— უჰ, ახლა ვინ წავა ამისთანა სიცივეში! ფეხები დამწვა სიცივემ... არ იცი დილვარდისას ამბავი, თუ? ისე გააკაპასეს ბიჭებმა წელან, რომ მივიდე, გამლახავს! არც არაფერს მომცემს...

— პირიმზე, პირიმზე? - გამოისმა მეორე ოთახიდან ანასტასიას ხმა.—ოჰ, შე გაუმაძღარო, შენ!.. ჯერ არ გათენებულა და მაგხელა ქალი საჭმელს ითხოვ!.. იკითხე! სანამდის მაგას არ ჩაიკითხავ, საჭმელს ნუ ელი ტყუილათ!..

— მარინე, მარინე!—მიუბრუნდა გოგოს.—შენ ხარ, პირიმზეს რომ ართობ მაღ?.. საჰზარეულოდან რატომ ამოდი, ჰა?., მაღ რა გინდა, შე წუპაკო?.. პირიმზესთან რა შენი ადგილია?.. ახლათ ახლავე წეთრიე სამუახლოში და იქ იყავი. ამოსვლა არ გაბედო, თუ მე არ გიბძანო, თვარა, ვაი, შენ დღეს! წადი თქვა, გეუბნები, შე უჯიშოს შვილო!.. შეხედეთ ამ გომბიოს, ჩემი რომ არ ესმის!

მარინეს ტანში აზრიალებდა, როცა წარმოიდგენდა, რომ ყინვაში კიდევ უნდა გაქცეულიყო ტიტველი ფეხებით სამოახლოში, მაგრამ რა უნდა ექნა? ძალა აღმართს ხნავს. საწყალი გოგო აფხორილი გავიდა ოთახიდან.

— დედა, მე კიდეც ჩავიკითხე, რაც საჭირო იყო!—მწუხარე ხმით წამოიკრინა პირიმზემ.

— არა, არა... ტყუილს ამბობ, ტყუილს, შე საძაგელო!.. შემოდი აქ, ჩემ გვერდით დაჯექი და ისევე თავიდან დაიწყე... თქვენ გაგიბოროტდათ სიცოცხლე, მე თქვენ ლოცვა დღეს გამიბოროტეთ!.. ღმერთო შეგცოდე, შენ მოწყალებას რავა ელირვარ... მე უბედურს ნახევარი დაუჯდომელი გულისხმით არ წამიკითხავს.

პირიმზე შევიდა დედასთან, რომელსაც ლოცვა გაეთავებინა და ხელსაქნარს აკეთებდა. ის დაჯდა ანასტასიასთან და თითქმის ტირილით დაიწყო ისევ თავიდან დავითნის კითხვა.

— „ნე... ტარუ... არს“—„ნეტარუარს“.

— რავა, რავა?

— „ნეტარუარს“...

— უჰ, შე უტვინო, შე უბედური დღის გაჩენილო!.. და ამასთანავე ჩაჰკრა ცერი თავში. ასჯერ გითხარი: „ნეტარ არს“, „ნეტარ არს“, „ნეტარ არს“... მოუხშირა ანასტასიამ. ამით დედას უნდოდა, ბეჯითათ ჩაენერგა ეს სიტყვა თავში შვილისთვის. მაგრამ პირიმზე იმისმა დაჟინებამ ისე გააჯავრა, რომ სრულებით აღარ ესმოდა, რას ამბობდა დედა მისი. ყურები გაიმეხა.

—ჰო, იკითხე, რას ჩაგირგავს ცხვირი მაგ დავითნში?

— კუ... აცი...— „კუაცი“.

— „კუაცი“ კი არა, კვიცი კიდე! მართლაც ბ კვიცი ხარ... თავიდან დაიწყე ისევე!.. ჰო, მოყევი, გოგო, ასე, ჰა: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა ულმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა“... ჩაჰჩიჩინებდა დედა; პირიმზე კი ამ ჩაციებამ უფრო გაბრაზა. გულში გაივლო: რომ მომკლა, თავიდან აღარ დავიწყებო. იცოდა, რომ ვერ იტყოდა კარგათ და დედა ისევ დააწყებინებდა. ეს კი სიკვდილივით ეჯავრებოდა, რადგან ცალკე საჭმლის დარდი აწუხებდა და ცალკე ამ დავითნის ჟიტნამ თავი გაურეტა, იმან კიდევ უფრო ჩარგო თავი დავითნში და გადაწყვიტა: თუ ეგრეა, აწ ხმასაც აღარ ამოვიღებო. ბევრი უყვირა დედამ, ხან დაუტკბა, ხან გაუჯავრდა, მაგრამ პირიმზის ხმის ამოღებას მაინც არა ეშველარა. ბოლოს ანასტასია მოთმინებიდან გამოვიდა. „მოგიკვდა სიცოცხლე, შენ მე მომკალიო“!—ათრთოლებული ხმით შეჰძახა თავის ქალს და თმა დაუჭირა. გვრიტიამ იკივლა, უნდოდა ტირილით შეეწყალებინა დედა.

— გამწეწავს და გამაგდებს, ეს კიდეც მირჩევნიაო! ამ საზიზღარ დავითნს მაინც მოვრჩები და კარგიაო—ფიქრობდა პირიმზე და ამისგამო ტირილს მოუმატა.

ამ დროს შინ შემოვიდა ბაკურიძე თავიდან ფეხებამდი შეიარაღებული. რუხვი შალის ჩოხა ზედ ეცვა, თავი ყაბალახით ჰქონდა შეკრული და ხელში მათრახი ეჭირა. ეტყობოდა, რომ ეს არის, ცხენიდან ახლა ჩამომხტარიყო. სიცივისაგან ცხვირი გაწითლებოდა. იმის შემოსვლაზე ანასტასიას პირზე წითელმა ფერმა გადაჰკრა, ხელსაქნარი აილო და დაბალი ხმით დაუწყო ჯავრობა პირიმზეს. „ღმერთი ნუ გაგიწყრეს, თუ შენ მაგას აქამდის დაისწავლიდი! სულ ცელქობს, ეშმაკობს, აგერ გასათხოვარი შეიქნება და წიგნი არ იცის...

პირიმზე ტიროდა.

ბაკურიძემ დედას და შვილს თვალი გადაავლო, დაჯდა ტახტზე და უთხრა ანასტასიას:

— მე როგორც ვატყობ, სწავლის მაგიერათ, მგონია, უფრო წაახდენ შენ მაგას. მალე მოგაშორებ, წავიყვან ქვიანას და იქ მივაბარებ სასწავლებელში. მერე დღესასწაულებს გარდა აღარც კი დაგა-

ნახევ. ანასტასიამ უსიამოვნების ნიშნათ ქმარს თვალები გადაუბრიალა.

— წადი, წიგნი შეინახე, შე უხეირო, უნირო, უნიჭო შენ!—შეუტია ანასტასიამ თავის ქალს, რომელსაც ამ დროს ხმა-ჩაეწყვიტა და დაბლა კრუსუნობდა. ქალი ადგა ნელა, თუმცა გულში უხაროდა, რომ დილის ტანჯვას ასე მშვიდობით გადარჩა. წიგნი შეინახა და ისევ ოთახში შემოვიდა.

— პირიმზე, მოდი აქ... დედამ გაგაჯავრა? —დაუძახა ბაკურიძემ.

— კი.—კვნესით უთხრა და თითი პირში ჩაიყო. ბაკურიძემ მუხლზე დაისვა თავისი ქალი, ლოყაზე აკოცა და უთხრა: ქვიაჩას არ წახვალ? იქ რუსულს გასწავლიან და რუსულ ცეკვა თამაშსაც... დედას უთხარი, რომ მეორეთ აღარ გაგლახოს!—საჭმელი არ გიჭამია?

— არა!—კვნესით მიუგო პირიმზემ და თავი ჩაჰკიდა.

— ჭამაზე კი მარჯვეთ არის.. უთენიათ უნდა, რომ მუცელი გაივსოს... ნეტაი ისე სწავლა ეხალისებოდეს, როგორც საჭმელი... არა გეტკინოსრა, სწავლაზე თავი არ ტკივოდეს!—დაუმატა ანასტასიამ.

— არაფელია, ისწავლის, ჩემი გოგო!.. ყოველფერს მოესწრება... წადი, უთხარი პატარა ბიჭს საჭმელი მოგიტანოს.—უთხრა სიყვარულით მამამ პირიმზეს, აკოცა და გამოისტუმრა. მას სახემ გაუცინა და ერთ წუთას გავარდა მეორე ოთახში.

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

წავიკითხე მოსკოველი კრიტიკოსის მიერ „კვალში“ დასტამბული ბიბლიოგრაფია აკაკის „კრებულის“ შესახებ და... მწარეთ გამეცინა. ჩვენ ვამბობდით, რომ ქ-ნ განდეგილის ლირიკის მოტივები“ ყველა პოეტებისათვის საერთო და საზოგადოა და აქ განდეგილის ნიჭს არ ეტყობა ორიგინალობა, დამოუკიდებელი ფეხის გადადგმა“-მეთქი. „ამ მოტივებს ჭეშმარიტი პოეტები კი არა, ბევრი ამ დროის გულაჩვილებული და სანტიმენტალური გრძნობებით აღძრული, ვითომ და პოეტებიც, დამღერიან სოფლათ მარტოხელობაზე და სხვა... ლექსებს წერენ“-მეთქი. ქ-ნი განდეგილი ასეთ გაცვეთილ ეფექტებს („ფაქტებს“—კორექტორული შეცდომაა სტატიაში) როდი ეტანება-მეთქი. ე. ი. „ამ ჩვენი დროის გულაჩვილებული და სანტიმენტალური გრძნობებით აღძრულ ვითომდა პოეტებს“ არ მოგვაგონებს-მეთქი. მორჩა და გათავდა. ერთი მიბრძანეთ, სად არის აქ წინააღმდეგობა, რაზედაც კრიტიკოსი ასე ცხვირაწეულათ გვეკითხება. „რომელ მწერალს არ უგალობნია სიყვარულისათვის, სამშობლოსათვის, მერე ისიც ჩვენში“.

რაც შეეხება იმ ყოვლად დახავსებულ, ნიილისტურ აზრებს, რომელთაც ვითომდა პირველი თქვენ გვაუწყებდეთ, რომ იმისთანა პოეტმა, რომლის „აზრი და გრძნობანი მარტო მისთვის არის ძვირფასი, სხვისთვის არავისათვის, ამისთანა, პოეტმა წერას თავი უნდა დაანებოსო“—ეს ხომ სრული და ნამდვილი პარადოქსია. ბრძანეთ ერთი, სად არის ისეთი რეალურთან არსებული, ნამდვილათ მომქმედი და ცოცხალი ადამიანი, რომ იმის აზრი მართლაც, მხოლოთ და მარტო მისი იყოს და არა სხვისიც, და მეორეც, ასეც რომ იყოს, რა არის აქ საჯალათო, რომ ბძანებთ. „თუ ასეა, მაშ ყველა უნდა ვადიდოთო“. ჰმ!... თქვენ თვალში კრიტიკოსმა ან უნდა უეჭველათ აძაგოს, ან უეჭველათ ადიდოს მწერალი. ნამდვილათ კი ქება-დიდებას და გალანძღვას ადგილი არა აქვს ჭეშმარიტ სალიტერატურო კრიტიკაში. იგი განხილვაა ღირსება-ნაკლულევანებისა და ნაწარმოების სასიცოცხლო ნიშნებისა. დაგვისახელეთ, დაგვისაბუთეთ, თუ ამ საზომით არ გვიწერია ჩვენი კრიტიკული წერილები ყოველთვის, თვარა ისე უსაბუთოთ, ქუჩაში და ქუთაისის „გულვარდზე“ შეკრებილი ჭორებით ხელში თქვენ ჩვენგან შორს ვერ წახვალთ...

უნდა გამოვტყდე, რომ ჩემ სტატიებში მხოლოთ ერთხელ და ისიც ერთგან, სწორეთ იქ, სადაც ბ-ნ გ. წერეთლის საბელეტრისტო ნაწარმოებზე ვლაპარაკობდი, მე საზოგადოთ შევეხე ამ ბელეტრისტის ნაწარმოებთა ღირსებას და დრო და ადგილიც არ იყო იქ (სტატია ეხებოდა სხვა მწერალს, „ბნელოს“ განხილვას), რომ მთლათ დამესაბუთებინა ჩემი სიტყვები. მაშინ ეს გარემოება ჟურნალ „მოამბის“ თანამშრომელმა კიდეც მიკიჟინა უსაფუძვლოთ. ბ-ნის გ. წერეთლის ნაწარმოებთა მხოლოთ ღირსების ჩემ მიერ ჩვენება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამ მწერალს მაშინ მხოლოთ და მარტო ლანძღავდენ, უსამართლოთ და უსირცხვილოთ გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ვიღაც ცოცხთ მოსაგველ ბიჭ-ბუჭებს, რომელთაც ლიტერატურასთან არა ჰქონდათ რა საერთო, ილანძღებოდენ, იგინებოდენ და ათასნაირ უმსგავსო ჭორებს ავრცელებდენ ამ მწერლის შესახებ. მხოლოთ მე მივუთითე მაშინ ამ ბელეტრისტის ღირსებაზე; მაგრამ არც დრო, და არც ადგილი არ იყო ვრცლათ მთე-

ლი ღირსება-ნაკლულევანებით და საბუთებით ხელში განგვეხილა ბ-ნი გ. წერეთლის მოთხრობანი. დავპირდი კი ასეთ განხილვას მკითხველებს, მაგრამ ჩემი დაპირება აქამდის თუ ვერ შეეასრულე, ამას თავისი გასამართლებელი საბუთიც აქვს. მწერალის მარტო დიდება, ან გალანძღვა მე კი არ ვიცი. ასეთი მანერა წერისა უფრო მოგვაგონებს გომართველის (?!) წერილების კილო-ხასიათს. მაგ. ის თუ მოდგა, მოდგება თავის „კრიტიკით" მამია გურიელს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს და გამოლანძღაეს, თუ ადიდა-და... ეედოშვილს შეაქებს-შეადიდებს და დიდი ბრიტანიის სახელოვანი ბაირონის გვერდით გამოჭიმავს. ჩვენში ხომ მაინც ასე იციან. უსათუოთ ან ბაირონი, ან შექსპირი. მეტი არც აქეთ, არც იქით, სხვებს თაკილობენ. შოთა რუსთველობას ვინღა კადრულობს! ნამდვილი დეკადენტობის ხანა დადგა ჩვენშიაც... მახლას!..

ხომლელი.

ფხერხული დუმილი.

ეს განსვენებულ შავი ქვის მწარმოებელ სააქციონერო ამხანაგობის შესახებ, აი, რა კიდოთი გვთხოვს ანგარიშს „კვალის" № 11-ში, ჭიათურის კორესპონდენტი ბ. გ. ბერიძე: „კომისიამ ხელის მომწერთა შორის შეკრიბა საწევრო გადასახადი 1500 მანეთამდე. ამას შემდეგ არ გაუელია დიდ ხანს, რომ კომისიის წევრების მოქმედებამ რაღაც მიზეზის გამო ღრმა ძილით მიიძინა და ამით დაასრულა მან თავისი მოწოდება". კომისიის მოქმედება, რომ დიდი ხანია დასრულდა ეს ეჭვს გარეშეა, მხოლოთ საქმის ანგარიში კი არავის არ გამოუქვეყნებია და მის შესახებაც არავიცითრა. მაშ რა საბუთებით ამბობს ბერიძე ამდენი და ამდენი ფული შეკრიბესო—ვერ გაგვიგია. კარგი იქნებოდა, მას თავისი აზრი ზოგ ცნობებზე დაემყარებია. იმ ცნობებით მაინც უნდა ეხელმძღვანელებია, რომელიც დღემდის გამოქვეყნებულია.

1897 წ. „კვალის" № 19-ში მოთავსებულია ჩვენი ანგარიში ამ სააქციონერო ამხანაგობის შესახებ. რასაკვირველია, ჩვენ წარმოვადგინეთ ის ანგარიში რაც ჩვენ ხელში იყო. ამ ანგარიშით ჩანს, რომ 38500 მანეთზე მოუწერიათ ხელი. აქედან რომ 5%/0 გამოსულიყო 1925 მან. შეადგენდა, მაგრამ ხელმოწერილებს 850 მან. არ შემოუტანიათ. მაშასადამე ნამდვილათ შემოტანილია 1075 მანეთი. აქედან 700 მან. ჩვენგან კომისიის წევრმა და ხაზინადარმა ჩაიბარა (ამ ფულში ჩემი და ჩემი ძმის საკუთრება 150 მანეთია). საქმისათვის კი ჩვენი ხელიდან დაიხარჯა 150 მანეთი. დანარჩენი, როცა ეს კითხვა გაირკვევა, დანიშნულებისამებრ უნდა წარვადგინო.

ვისაც ეს კითხვა აინტერესებს უფრო ვრცელ ცნობებისათვის ეთხოვ 97 წ. „კვალში" მოთავსებული წერილი და ანგარიში გადაიკითხოს. ჩვენ კი აქ იმას განვიმეორებთ რითაც მაშინ ჩვენ ანგარიშს ვამოლოვებდით.—იქ ვამბობდით: „სხვა და სხვა მიზეზების გამო, ძალიან სამწუხაროთ მიმაჩნია ჯერ დაუბადებელი საქმის ლიკვიდაცია, მაგრამ მეტი გზა არაა, და, როგორც გულშემატკივარი და წევრი ამ ამხანაგობისა ეთხოვ კომისიის წევრებს, რომ ეს ჩემი თხოვნა დააკმაყოფილონ; —ჩემი თხოვნა მოკლეთ ასე გამოიხატება: საქმის გაგრძელება და განხორციელება თუ შეუძლებელია, მაშინ კომისიამ ანგარიში წარმოგვიდგინოს და დაგვიბრუნოს ჩვენი ფული,—მეტი არაფერი". შეგვიძლია ამას შემდეგი დავუმატოთ: რომ საქმე მოკვდა და არ გაცოცხლდება ეს ცხადია, მაშ დაგვრჩენია ის რომ მივცეთ „კეისრისა კეისარსა". ამის დამოლოვება და გარკვევა ადვილი იქნება შავიქვის მწარმოებელების მომავალ საზოგადო სხდომაზე (съѣздъ марганце-промышленниковъ). ამით თავიდან ავიცილებთ უსიამოვნებას, ოდნავ მაინც შევასრულებთ ვალდებულებას და აძნაირათ საზოგადო ცოდვებისაგანაც რამდენიმეთ შევმსუბუქდებით.

ჭიათურა. ი. კაკაბაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

„კვალის" 8 №-ში დასტამბული ბასვიდან მოწერილი წერილის ავტორი მოგვითხრობს რა ქაურ საჭირ-ბორტლ ამბებს, რომელშიაც უმთავრესი ადგილი უჭირავს ეოფილ მამასახლისის სხვა-და-სხვა ბორტლ-მოქმედებას, იგი მოუდოდნელათ და ერთობ უადგილოთ ესესა ქაური სკოლის რომელიც შედგოგსაც, რომელიც ავტორს ჩაურევია მამასახლისის დამცველ ვიღაც ბობოლათა რიცხვში და ამ სახით ნიშანში ამოდებული ბასვის სკოლის ერთი შედგოგი მას გამოჭეკვს მეტათ უსაქციელო პირათ, მართლაც, ვინ იტყვის, რომ გაკიცხვისა და დაძრახვის ღირსი არ იყოს ის სოფლის მასწავლებელი, რომელსაც, ისე დაუმტირებია ოვისი წმიდა მოვალეობის ღირსება, ისე დაუმდაბლებია მასწავლებლის მადალზნეობითი სახე, რომ სოფლის მოსალეთა ერიგო საქციელის დამცველ-მფარველი გამსდარა, ბობოლობა და ბატონობა დაუჩემებია და, ვინ იცის, რა ბორტლ-მოქმედებას არ ჩადის. რომ უსაბუთო სიტყვებით ბორტლ-მოქმედათ დასუდ მასწავლებელზე ნათქვამ ცარიელ ფრაზებს ტოტალი მაინც სიმართლის ელფერი გადაჰკრას, ავტორი შემდეგი საინტერესო დაბერებით ჭეიქობს

რედაქციისა და მკითხველის თვალის ახვევას: „მარა ამ პედაგოგზე და მის სკოლაზე შემდეგ მოგელაპარაკებით“. დიდათ გვასიამოვნებს ასეთი აღთქმა და დიდი ინტერესით მოველით დაპირების ასრულებას, ხოლო მანამდე კი შემდეგს მოკლე პასუხს მოგახსენებ, ბოროტების მებრძოლო, ბატ. ბახველო:

თქვენი წერილის ბოლოში ნახსენებ ოცდახუთი წლის პედაგოგიურ მოღვაწეობის გადაკვრით რომ არ მიგეხვდინეთ, სწორეთ ვერ წარმოვიდგენდი, თუ თქვენგნით აწერილი თვისებაები აქაურის პედაგოგისა მე შემეხებოდა, მარა, რადგან აქაურ მასწავლებელთა შორის 25 წლის სამსახური მასწავლებლობაში მარტო მე მიმიძღვის, აშკარაა მე გყოლივართ ნიშანში ამოღებული, რის გამოც არ შემიძლია უყურადღებოთ დავტოვო თქვენი წერილი.

როგორც ზემოთა ვთქვი, სწორეთ დიდი სამარცხვინოა მასწავლებლისათვის ის ურიგო საქმეები, რომლის მომქმედათაც თქვენ გამოგყავთ თქვენგნით ნიშანში ამოღებული მასწავლებელი. მაგრამ კიდევ უარესი სამარცხვინო, გასაკიცხი და საზიზღარი იგი პირია, ვინც სრულიად უმიზეზოთ და უსაფუძვლოთ, მხოლოთ თვისის პირადის ინტერესებისა და წვრიმალ თავმოყვარეობისა გამო, საკუთარი შურის მიერ გატაცებული, აღიჭურვება უგვანი ცილის წამებით და ამდენს უღირსს თვისებას უსაბუთოთ მოახვევს თავზე რომელსამე თავის მოპირდაპირეს იმ მდაბალი მიზნით, რომ იგი ამით დაამცროს საზოგადოების თვალში. ორ რიგათ მეტი გასაკიცხია ასეთი პირი იმ შემთხვევაში, როდესაც იგი იმდენ გაბედულებასაც კი ველარ იჩენს ამ დროს, რომ პირბადე აუფარებლათ, თავისი ნამდვილი სახელით გამოვიდეს მოპირდაპირის სამხილებლათ! და, აი, სწორეთ ასე მოიქეცით ჩემს შესახებ თქვენ, ბატ. ბახველო, როდესაც ასე უადგილოთ ჩამირთეთ თქვენს თვალთმაქცურათ მოჭახრაკებულ წერილში, ამიტომაც გთხოვთ, რაც შეიძლება მალე საბუთებით დამიმტკიცოთ თქვენი ცარიელ ფრაზებზე დამყარებული ბრალდებანი ჩემს შესახებ. [1]

ბახვის სკოლის ზედამხედველი გიორგი შარაშიძე.

---

[1] ეს დაპირებული წერილი ბახვის სკოლის შესახებ უკვე მივიღეთ. შიგ მოთხრობილი ფაქტები ისეთი ხასიათის არიან, რომ ჩვენ საჭიროთ დავინახეთ მისი შემოწმება კერძო გამოძიებით. ამ გამოძიების შედეგია ის, რომ წერილი აღარ დაიბეჭდება. მოთხრობილი ფაქტები (სოფლელთა საჩივარი მასწ. შარაშიძის წინააღმდეგ და სხ.) ნამდვილათ მომხდარა, მარა მომხდარა თითოოროლა პირადათ უკმაყოფილო კაცების მოხერხებით. ეჭველია ეს ფარდას იქითი ამბავი ჩვენ კორესპონდენტს, როგორც გარეშე პირს, არ ცოდნია და მით შეცდომაში შეუყვანიათ. რედ.

იგავ არაკნი და დახასიათება კიტა აბაშიძის საგულისხმოთ.

Dixi et animam levavi (ვთქვი, ესე იგი გამოველანძღე, და ამით სულსა ჩემსა მიეეცი ფონება) —ასე დაათავა „ივერიის“ № 62-ში თავისი სამაგალითო უშვერი დაბაზანური ლანძღვა-გინება ერთმა ინტელიგენტმა. ჩვენ იმდენათ არ გვაკვირვებს ეს ბეჭდვითი ნამუსახდილი ლანძღვა იმ ინტელლიგენტისა, რომელსაც ჯერ ბაგეზე რძეც არ შეშრობია, რომ ანკ რების მორევში მოუსწრია ჩაყურყუმალება, რამდენათაც იმ რედაქციის საქციელი, რომელსაც ბეჭდვითი ორგანო პირადი შურის საძიებელ იარაღათ გადაუქმნია და ალარავითარს უზნეობის მწიკვლს არ ერიდება.

ა რ ა კ ი.

„აქლემსა ჰკითხეს: კისერი რათა გაქვს მრუდეო? —სხვა რა მაქვს სწორიო—მიუგო მან“.

—

ი გ ა ვ ი.

იყო ჭაბუკი ვინმე, რომელი წარვიდა უცხო ქვეყანას გონება-ზნეობის ნაყოფთა შესაკრებათ. იგი იქ ნამდვილი გონებისგანვითარების მაგიერათ მიჰყოლოდა თავის ბუნებრივ თვისებების განვითარებას, შეემუშავებინა ენის და გულის გესლი და მეშურნეობის სენით შეპყრობილი თვისი ბუნება კიდევ უფრო დაბალ ხარისხზე დაეყენებინა. ასეთი ღირსებით შემკობილმან, ჯერ კიდევ ნორჩმან ჭაბუკმან, მოვლო თავისი ქვეყანა და იქ უმანკო სიყვარულით აფრთოვანებული გული დაგესლა და გააცივა ცხოვრებისათვის. ამისგამო გამურეს რა მისი მდაბალი შუბლი შავი კენჭების მორტყმევით, გამწარებულმა ალახვა ბაგე თვისი და გადმოანთხია გულსნადები და რომ ამითაც ვერ მოიკლა ჟინი, ბოლოს შეჰყვირა: „დრო, ბატონებო, და ისტორია—აი, საუკეთესო, გამსჯელი დასთა მოქმედებისაო...“

ა რ ა კ ი.

ათასი ჭორი შეგითხზავს
სიცრუით შემზადებული;
თვით გამომძვრალხარ ეშმაკი,
ეშმაკათ ალსარებული.
ორი წლის წვიმაც ვერ გარეცხს
რაც რომ დაბილწე გესლითა,
მინაწყავს შენვე მოგიწყევნ
ვაგლახითა და წყევითა.

დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა.

გველი აგრევე გველია
მითვე გესლითა რგულითა,
რაგინდ რომ ქერქი შეიძროს,
გეჩვენებოდეს წყლულითა.

ქილილა და დამანასი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 27 Марта 1899 г. Тип. М. Д. Ротиніанца -სტამბა მ. დ. როტინიანცისა Год. пр. ц. № 41.